საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ივერი აბაშიძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**15**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**
წერის უნარი	**19**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ივერი აბაშიძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ივერი აბაშიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი ივერი აბაშიძე გამოირჩევა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით. ამასთან, მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ და ფინანსურ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ ივერი აბაშიძე კოლეგებში სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით და რეკომენდატორები და მასთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, მის მიმართ დისციპლინური
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	15	20	ივერი აბაშიძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, იგი დამაკმაყოფილებელ დონეზე იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. აგრეთვე, კანდიდატი ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ივერი აბაშიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 91-ე ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	ივერი აბაშიძეს აქვს სპეციალობით ხანგრძლივი, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და აზრის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	19	20	ივერი აბაშიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მის მიერ ჩამოყალიბებული დასაბუთება არის თანმიმდევრული და შედგენილია ნათელი,

[1] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/1-18, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/30937-17.

			გასაგები სტილით. ტექსტი არის გამართული, ადვილად აღსაქმელი.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	ივერი აბაშიძე გამოირჩევა გამართული მეტყველებითა და განსხვავებული აზრის მოსმენის უნარით. იგი არის თავდაჯერებული, ტაქტიანი და გაწონასწორებული. ამასთან კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს თანმიმდევრულად.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილული საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 98,1, თუმცა, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 75,8%-ს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას ადგილობრივ თუ საერთაშორისო სემინარებსა და კონფერენციაში.
პროფესიული აქტივობა	3	5	ივერი აბაშიძის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. თუმცა, იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და მომზადებული არ აქვს სამართლებრივი პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	88	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით**		

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ივერი აბაშიძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ივერი აბაშიძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, ივერი აბაშიძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ ივერი აბაშიძის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ ივერი აბაშიძეს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისგმებლობის შესაბამისი შეგნება და იგი სამსახურებრივ თუ სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, მისი მხრიდან დროულად არის გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები, იგი კარგად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და სხვ. ამასთან, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია. უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატის შესახებ რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული დახასიათების შესწავლისა და საჯარო მოსმენაზე ივერი აბაშიძის მიერ გამოვლენილი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის კორექტული, პატიოსანი, თავმდაბალი და კეთილსინდისიერი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს კარგად აქვს გაანალიზებული როგორც პირადი, ისე პროფესიული მოვალეობები.

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელთან დაკავშირებით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კანდიდატი არის პრინციპული, პიროვნულად მყარი, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. აგრეთვე, ივერი აბაშიძის შეფასებისას გამოკითხული რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც სამართლიან, ობიექტურ და მიუკერძოებელ პიროვნებას. ივერი აბაშიძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებით ივერი აბაშიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა ითქვას, რომ იგი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენაზე, კანდიდატი იყო თავაზიანი, თავდაჭერილი და გამოირჩეოდა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, ივერი აბაშიძის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს რაც შეეხება, ივერი აბაშიძის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები მას აფასებენ დადებითად. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება მხოლოდ მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობის დროს მიცემული ინტერვიუები და მისი მოსამართლედ განწესების შესახებ არსებული ინფორმაცია. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მხოლოდ იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ ივერი აბაშიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში.

ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ ივერი აბაშიძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ

	ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ ივერი აბაშიძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით</u>* უნდა აღინიშნოს, რომ ივერი აბაშიძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი დამაკმაყოფილებელ დონეზე იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. აგრეთვე, იგი ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ ივერი აბაშიძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა 91-ე ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 10 დეკემბერს ივერი აბაშიძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

[2] იხ. ივერი აბაშიძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი:
https://www.youtube.com/watch?app=desktop&feature=share&v=VR7K9g5g3YA&fbclid=IwAR2RKaF7gQi_NchQbIFbsIm-3TJug_yA3k8kB4BM83iXxg5gAJ6crzG9KR4

	წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო კორექტული, თავდაჯერებული, გაწონასწორებული და ეტყობოდა მცირედი მღელვარება. მან ვერ მოახერხა ზოგიერთი დასმული შეკითხვისათვის პასუხის გაცემა. აგრეთვე, კანდიდატს ზოგჯერ უჭირდა შეკითხვების სწორად აღქმა, საკითხის სხარტად გაანალიზება, მისი პოზიციის ნათლად გადმოცემა და სიღრმისეული, არგუმენტირებული და დასაბუთებული სამართლებრივი მსჯელობის განვითარება. კანდიდატის *<u>სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან</u>* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე. ასევე, ივერი აბაშიძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. მის მიერ წარმოდგენილი დასაბუთება არის თანმიმდევრული და შედგენილია ნათელი, გასაგები სტილით. უნდა ითქვას ისიც, რომ ტექსტი არის გამართული, ადვილად აღქმადი და მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა არ გამოვლენილა. ივერი აბაშიძის *<u>ზეპირი კომუნიკაციის უნართან</u>* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს გამართული მეტყველების უნარი. როგორც უკვე აღვნიშნე, კანდიდატი არის თავდაჯერებული და გაწონასწორებული. ამასთან, იგი საჯარო მოსმენაზე ცდილობდა ყველა დასმული შეკითხვა განეხილა თანმიმდევრულად და გამართულად. ივერი აბაშიძის *<u>პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან</u>* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდის განმავლობაში საკმაოდ მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილული საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი - 98,1,

[3] სასამართლო გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/1-18, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/30937-17.

	თუმცა, უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 75,8%-ს. კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ივერი აბაშიძე აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, კანდიდატი განაცხადში უთითებს, რომ მას ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავლილი აქვს სასამართლო მენეჯერის სასწავლო კურსი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ივერი აბაშიძე არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, კანდიდატ ივერი აბაშიძესთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 88 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-21